

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის

(№09-01-08/56, 08.01.2018)

## საჯარო განხილვის შემაჯამებელი ოქმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, 2018 წლის 8 იანვარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 102-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს 14 წევრის: დავით გაბაიძის, ნინო ჩხეტიას, მერაბ კარანაძის, ნუგზარ სურმანიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის, ვახტანგ წულაძის, ცოტნე ანანიძის, გიორგი მანველიძის, გიორგი რომანაძის, დავით თედორაძის, დავით ბაციკაძის, ირაკლი ჭეიშვილის, ილია ვერძაძისა და ხვიჩა შარაშიძის ინიციატივით, წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“. ხელმოწერების ნამდვილობის შესამოწმებლად, პროექტი იმავე დღეს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას გაეგზავნა. ხელმოწერების ნამდვილობის დადგენის შემდეგ, კომისიამ 2018 წლის 11 იანვარს წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე (№09-01-08/57, 11.01.2018წ.).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე 2018 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სესიაზე მიიღო. კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიქმნა:

- ა) **დავით გაბაიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) **მერაბ კარანაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) **ნინო ჩხეტია** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- დ) **ვლადიმერ მგალობლიშვილი** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ე) ილია ვერძაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარების“ თავმჯდომარე;

ვ) დავით ბაციკაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარას“ თავმჯდომარე;

ზ) გია აბულაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი;

თ) პეტრე ზამბახიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;

ი) გიორგი ბერიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი);

კ) არჩილ ხახუტაიშვილი – „დემოკრატიის ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ლ) თენგიზ თევზაძე – „აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ-პროფესორი;

მ) ასლან ჭანიძე – „თავისუფალ უურნალისტთა სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება (№65-უ.ს.რ.ს.) – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე და კონსტიტუციური კანონის პროექტი გამოქვეყნდა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) (გამოქვეყნების თარიღი 17/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010010010.31.056.016057), ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.sca.ge](http://www.sca.ge) და გაზეთ „აჭარას“ 2018 წლის 18-22 იანვრის №7 გამოცემაში.

2018 წლის 20 იანვარს გაიმართა კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ საჯარო განხილვა გაიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში, ასევე, არასამთავრობო და მასმედიის წარმომადგენლებთან, აკადემიურ წრეებთან, სტუდენტებთან, ადვოკატებთან და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის ფორმატით 10 შეხვედრა გაიმართა:

1. ხულოს მუნიციპალიტეტში – 2018 წლის 22 იანვარს;
2. შუახევის მუნიციპალიტეტში – 2018 წლის 23 იანვარს;
3. ქედის მუნიციპალიტეტში – 2018 წლის 24 იანვარს;

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში \_ 2018 წლის 25 იანვარს;
5. ქობულეთის მუნიციპალიტეტში \_ 2018 წლის 26 იანვარს;
6. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან \_ „ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“, 2018 წლის 27 იანვარს;
7. შეხვედრა „პროფესიული კავშირების აჭარის ორგანიზაციასთან“ \_ 2018 წლის 27 იანვარს;
8. შეხვედრა სამართლის სფეროს წარმომადგენლებთან \_ „ადვოკატთა ასოციაციის“ ბათუმის ფილიალში \_ 2018 წლის 28 იანვარს;
9. შეხვედრა აკადემიურ წრეებთან, უმაღლესი საბჭოს ყოფილ წევრებთან და სტუდენტებთან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში \_ 2018 წლის 29 იანვარს;
10. შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან \_ 2018 წლის 30 იანვარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, საჯარო განხილვების შეხვედრებზე, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის გია აბულაძის უარის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე იმ მოტივით, თითქოს კონსტიტუციის პროექტი არ არის სრულყოფილი და მისი განხილვა ფორმალური პროცესია. დავით გაბაიძემ განმარტა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები პროექტის სახითაა წარმოდგენილი და საბოლოო დოკუმენტის სახეს საჯარო განხილვის, მოსახლეობის წინადადებებისა და მოსაზრებების ასახვის, უმაღლეს საბჭოში საკომისიო განხილვებისა და სასესიო მოსმენების შემდეგ მიიღებს. მანვე დასძინა, რომ საჯარო განხილვებში მონაწილეობის მიღება და პოზიციის დაფიქსირება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

შეხვედრებზე კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ დამსწრე საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ვრცლად წარმოუდგინა. მისი განმარტებით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა საქართველოს ახალი კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“. კონსტიტუციური კანონის მიღების მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2004 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. კონსტიტუციური კანონი ვერ უზრუნველყოფდა უფლებამოსილებების მკაფიო და ჯეროვან გამიჯვნას სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკასა და თვითმმართველ ერთეულებს შორის, მნიშვნელოვანი ხარვეზებით იყო დარეგულირებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, აღნიშნული კანონის

ამოქმედებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, ანუ 2018 წლის 19 აპრილამდე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პროექტით იცვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების ნუსხა, კერძოდ, ამოღებულია ის უფლებამოსილებები, რომლებიც ფორმალურად იყო ჩამონათვალში, ან თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხებია, მაგ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ბაზრობები, ბაზრები და გამოფენები. პარალელურად, ავტონომიურ რესპუბლიკას უფლება აქვს საკუთრებაში ჰქონდეს მიწა, ტყე და წყლის რესურსები, რომლის მართვა და განკარგვაც მისი განსაკუთრებული გამგებლობის სფერო იქნება. ერთმანეთისგან გაიმიჯნა ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. გარდა აღნიშნულისა, ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებს ემატება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება.

მომხსენებლის განმარტებით, მნიშვნელოვანი სიახლეა უნივერსალური უფლებამოსილების პრინციპის დანერგვა, რაც ავტონომიურ რესპუბლიკას აძლევს საშუალებას განახორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება ყველა იმ სფეროში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფოს განსაკუთრებულ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელებაც არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან.

პირველად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დასაშვები ხდება სახელმწიფოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკისათვის უფლებამოსილების დელეგირება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადმოცემით მოხდება. ამ დრომდე, უფლებამოსილების დელეგირება კანონმდებლობით დარეგულირებული არ ყოფილა და არც შესაბამისი რესურსების გადმოცემის ვალდებულება იყო სადმე გაწერილი.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზეც ისაუბრა, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს შორის ბალანსს განსაზღვრავს. მისი თქმით, ვინაიდან უმაღლესი საბჭო არის პირდაპირი წესით არჩეული ორგანო, მას უნდა გააჩნდეს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ეფექტური საკანონმდებლო ბერკეტები. მომხსენებლის თქმით, პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრა ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული ორგანოს უფლებამოსილებაში დემოკრატიის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

ერთ-ერთი ცვლილება, რომელსაც პროექტი ითვალისწინებს, გულისხმობს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების გამარტივებას. მომხსენებლის განმარტებით, თუ მთავრობის დამტკიცებისთვის საკმარისია 11 ხმა, იგივე კვორუმით

უნდა ხდებოდეს მისთვის უნდობლობის გამოცხადება. ასევე, ცვლილებაა მთავრობის შემადგენლობის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურაშიც. კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - მთავრობის თავმჯდომარეობისა და მინისტრობის კანდიდატები - დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოს წარედგინება ერთიანი კაბინეტის სახით. ამასთან, აღარ მოხდება მინისტრობის კანდიდატების საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან შეთანხმება.

დავით გაბაიძის განმარტებით, მოქმედ კონსტიტუციაში მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ჩამონათვალი, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში ჩანაწერი ზოგადია და განსაზღვრავს მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც დასაშვებია სამინისტროების შექმნა. აღნიშნული ცვლილება, გაცილებით აფართოებს ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებს და საშუალებას იმღევა ადგილზე გადაწყვდეს თუ რა სამინისტროები ჭირდება ავტონომიურ რესპუბლიკას და ადგილზე დადგინდეს თუ რა სახელი შეიძლება დაერქვას ამა თუ იმ სამინისტროს. მანვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ცვლილების მიუხედავად, ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდა არ იგეგმება.

მნიშვნელოვნად იზრდება მთავრობის ანგარიშვალდებულება უმაღლესი საბჭოს წინაშე. კონსტიტუციის პროექტით, მთავრობის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტში ჩნდება უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვისა და ინტერპელაციის უფლება, რაც უმაღლესი საბჭოს წევრს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაციან ჯგუფს საშუალებას მისცემს კითხვით მიმართოს არამარტო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოებს, არამედ, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს. უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულო იქნება, ხოლო თავად პასუხი, შეიძლება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვის საგანი გახდეს. ამ კუთხით, სიახლეა ისიც, რომ უმაღლეს საბჭოში შესაძლებელი იქნება შეიქმნას დროებითი კომისია, რომელშიც ოპოზიციის წარმომადგენლობა კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს და რომლის მოთხოვნითაც მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა, სავალდებულო იქნება.

იცვლება ვეტოს დაძლევის კვორუმიც – ამისთვის, არსებული 13 ხმის ნაცვლად, საკმარისი იქნება – 11 ხმა.

დავით გაბაიძის განცხადებით, კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებულია მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღებაც, თუმცა, მოსახლეობისა და საორგანიზაციო კომისიის წევრთა მოსაზრებების გათვალისწინებით, შესაძლოა ეს სიახლე ამოღებულ იქნას და მთავრობის თავმჯდომარის არყოფნის ან

მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ფუნქციების შესრულება მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ერთ-ერთ მინისტრს დაეკისროს.

მომხსენებელმა, განსაკუთრებულად მოუწოდა დამსწრეთ, გამოეხატათ თავიანთი პოზიცია საარჩევნო სისტემის მიმართ. მან აღნიშნა, რომ თვით კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის ინიციატორებშიც კი არ არის ერთიანი საბოლოო პოზიცია, თუ რა სისტემით უნდა მოხდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევა და გამომდინარე აქედან, საარჩევნო სისტემის განსაზღვრა მოხდება მოსახლეობის პოზიციის გათვალისწინებით. ასევე განმარტა, რომ არაფერი ზღუდავს ავტონომიურ რესპუბლიკას, თავად განსაზღვროს უმაღლესი საბჭოს არჩევის წესი და სავალდებულო არ არის მოხდეს საქართველოს პარლამენტის არჩევის წესთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ნორმების ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში უცვლელად გადმოტანა. აქვე, დავით გაბაიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის ინსტიტუციური არსებობის საკითხი გათვალისწინებულია კონსტიტუციურ კანონში და ასევე ცვლილებების პროექტში, რაც გამოიხატება მის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაში. თუმცა, მისივე განმარტებით, შესაძლებელია შესაბამისი წინადადებების არსებობის შემთხვევაში, ცვლილებების პროექტში დამატებითი დებულებების გაწერაც.

გამოსვლების დასასრულს, დავით გაბაიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციამ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი ღიად დატოვა და კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. დავით გაბაიძის განმარტებით, აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელებული ცვლილებები ამომწურავად სრულყოფილი ვერ იქნება, თუმცა თავის დროზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი და ახლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტიც მომზადდა სწორედ საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული ჩანაწერისა და არსებული რეალობების გათვალისწინებით.

საკუთარი პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებას პეტრე ზამბახიძემ გააცნო. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიღება საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის პარალელურად მოხდა, რამაც ხელი შეუშალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე უფრო ეფექტურ მუშაობას. მისი თქმით, ამ ფონზე, ავტონომიის განსაკუთრებული უფლებამოსილებების ნუსხა რვა პუნქტით ისე შემცირდა, რომ მოსახლეობის აზრი არ იქნა გათვალისწინებული. ამ ცვლილებების განხილვისა და

დეტალური შეფასების საშუალება სამოქალაქო სექტორსა და ოპოზიციასაც არ მიეცა. ნუსხიდან ამოღებული იქნა შემდეგი უფლებამოსილებები: ტურიზმი, კულტურა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, სოციალური საკითხები და ა.შ. მიუღებლად შეაფასა მომხსენებელმა ტურიზმის განსაკუთრებული გამგებლობის ნუსხიდან ამოღება მაშინ, როდესაც აჭარის რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, სწორედ, ამ სფეროს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პეტრე ზამბახიძემ, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცების წესი გააკრიტიკა. მან აღნიშნა, რომ შემოტანილი ცვლილებებით, მთავრობის თავმჯდომარე, როგორც რეგიონის პირველი პირი კარგავს პრივილეგიას იყოს დამოუკიდებლად დამტკიცებული თანამდებობის პირი. ამასთან, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თავმჯდომარეს და მინისტრებს დასამტკიცებლად ერთიანი კაბინეტის სახით წარმოადგენს, ეს გამოიწვევს მის ირიბ ჩარევას მინისტრების კანდიდატურების შერჩევის პროცესში. მომხსენებელმა, ავტონომიის უფლებების დაკნინების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი უწოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობის ნუსხიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების ამოღებას. მისი თქმით, ეს ქმნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის გაუქმებისა და საარჩევნო პროცესის სრულად ცენტრალიზების შესაძლებლობას. პეტრე ზამბახიძემ განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება საარჩევნო სისტემების საკითხზე. მან აღნიშნა, რომ მოქმედი სახელისუფლებო ძალის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება შერეული საარჩევნო სისტემიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო. ამას კვალიფიციური საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ვენეციის კომისიაც, რეკომენდაციების სახით, ხაზგასმით მიუთითებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუმცა, დღემდე, პროპორციული სისტემა არ შემოღებულა. პეტრე ზამბახიძემ დასვა საკითხი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 2020 წლიდან სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდეს და აღნიშნა, რომ ეს არის ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება ადგილზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყდეს. მან განმარტა, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემას ხმების დაკარგვის შანსი მინიმუმამდე დაჰყავს და უმაღლესი საბჭოს მანდატების გადანაწილების პროცესში მოიხსება შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში წარმოქმნილი უხერხულობა. მანვე აღნიშნა, რომ აუცილებელი იქნება ცვლილებები შევიდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში და ავტონომიურ რესპუბლიკას დაუბრუნდეს ის უფლებამოსილებები, რაც წლების განმავლობაში გააჩნდა.

**ვლადიმერ მგალობლიშვილმა** თავის გამოსვლებში აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის უფლებების დელეგირება 2011 წლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ განხორციელდა, როდესაც უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივით, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის

სამინისტროს გადმოეცა უფლება აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე დანიშნოს ან გაათავისუფლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მისი თქმით, ის სუბსიდიარობის პრინციპის მომხრეა, ვინაიდან საკითხები ადგილზე უფრო იოლად წყდება და სწორედ ამ პრინციპით, ცენტრიდან რეგიონში მეტი უფლებების გადმოცემა უნდა მოხდეს. მომხსენებელმა უარყოფითად შეაფასა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმა და აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებით, მათ უარი თქვეს გაეგოთ ხალხის აზრი საკონსტიტუციო ცვლილებებით გათვალისწინებულ საკითხებზე.

საკონსტიტუციო ცვლილებები პროფესიული კავშირების გაერთიანების აჭარის ორგანიზაციის წევრებს ილია ვერძაძემ, ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას – მერაბ კარანაძემ გააცნო. მათ აღნიშნეს, რომ ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თითქმის ყველა მუხლს შეეხება, ვრცლად ისაუბრეს ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციებზე, სახელისუფლებო ორგანოების ბალანსზე, ცენტრიდან უფლებამოსილებების დელეგირებასა თუ სხვა აქტუალურ თემებზე. მათვე განაცხადეს, რომ კონსტიტუციის საფუძველი არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესები, არამედ – ხალხის ნებაა და მოუწოდეს დამსწრეთ, გამოეთქვათ მოსაზრებები და დაესვათ კითხვები საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

**ნინო ჩხეტიამ** აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციორებით, უმაღლესი საბჭოს წევრებმა საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობა აიღეს. მათი მიზანი, ერთი მხრივ, არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო მეორე მხრივ – ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების გაზრდა. მანვე აღნიშნა, რომ ყველა ცვლილება დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას, მეტი უფლებების დელეგირებას, რეგულაციების დახვეწისა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას ემსახურება.

**დავით ბაციკაძემ** თავის გამოსვლებში გამოხატა პოზიცია საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს არჩევნების პროპორციულ სისტემას და თვლის, რომ ამ გზით არჩეული უმაღლესი საბჭო უფრო წარმომადგენლობითი იქნება. მანვე დასვა საკითხი პარტიიებითვის საარჩევნო ბარიერის დაწევის შესახებ.

**თენგიზ თევზაძემ** ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციურ კანონზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის კონტურებზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეალური ავტონომიურობის ასპექტებზე. ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა აჭარაში მოსახლეობასთან საერთო-სახალხო განხილვებზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს

კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვებს უფრო მეტი დრო დათმობოდა, რათა მომხდარიყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები მოქალაქეების უფრო მეტად ინფორმირება.

მომხსენებელმა განსაკუთრებით დეტალურად ისაუბრა საარჩევნო სისტემებზე, რომელიც უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებას. მისი თქმით ყველა საარჩევნო სისტემას გააჩნია დადებითი და უარყოფითი ნიშნები და ცალსახად, რომელიმე საარჩევნო სისტემაზე ვთქვათ რომ საუკეთესოა, არ იქნება მართებული, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს პარლამენტი 2024 წლიდან სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადადის, მნიშვნელოვანი იქნება უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც ჩატარდეს პროპორციული საარჩევნო სისტემით უკვე 2020 წლიდან, ვინაიდან, ეს ერთგვარი ტესტია და დემოკრატიული პრინციპების დაცვის გარანტი. პროპორციული საარჩევნო სისტემა უფრო მეტად უზრუნველყოფს პოლიტიკურ პლურალიზმს და ნაკლებია დაკარგული ხმების რაოდენობა, რაც რეალურად ასახავს ამომრჩევლის პოლიტიკურ ნებას და ინტერესს.

ასევე, საორგანიზაციო კომისიის წევრმა ყურადღება გაამახვილა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის სხვა ტექნიკურ საკითხებზეც და იმედი გამოთქვა, რომ მისი მოსაზრებები საკომისიო და სასესიო მოსმენებზე იქნებოდა გათვალისწინებული.

**არჩილ ხახუტაიშვილმა** აღნიშნა, რომ მისთვის კონსტიტუციის ცვლილება იმ კუთხითაა საინტერესო, თუ რამდენად აისახება იგი საზოგადოების თითოეული წევრის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რამდენადაა მორგებული ეს ყველაფერი მოსახლეობის ინტერესებზე. მან აქცენტი გააკეთა იმ თემებზე, რომლებზედაც არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, კერძოდ, მაშინ როდესაც ავტონომიის არსებობა გარკვეულწილად ხარკად ადევს სახელმწიფო ბიუჯეტს, ესა თუ ის სახელისუფლებო სტრუქტურა რამდენად ეფექტურად მუშაობს, რამდენად შეუძლიათ ავტონომიაში არსებულ მხარჯავ დაწესებულებებს ადგილზევე მოაგვარონ მოსახლეობის პრობლემები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებლმა განაცხადა რომ მხარს უჭერს რაც შეიძლება მეტი უფლებამოსილების დელეგირებას ცენტრიდან ავტონომიაზე.

**ასლან ჭანიძემ** გამოთქვა მოსაზრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების წესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასურველია, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩეულ იქნას პირდაპირი წესით. უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე კონსტიტუციაში უფრო დეტალური ჩანაწერია საჭირო. აქვე აღნიშნა, რომ არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას უჭერს მხარს.

**ხულოს მუნიციპალიტეტი,  
ხულოს კულტურის ცენტრი  
22 იანვარი, 2018 წელი**

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, დავით ბაციკაძე, პეტრე ზამბაზიძე, თენგიზ თევზაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა კომისიის წევრების გამოსვლებით დაიწყო, რომლებმაც საკონსტიტუციო ცვლილებები და ამ ცვლილებების შესახებ საკუთარი პოზიციები გააცნეს საზოგადოებას. აღნიშნულის შემდეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა:

**ნათია ვასაძე** დაინტერესდა, კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები რამდენად ასახება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებზე და მისცემს თუ არა მას შესაძლებლობას ადგილზე გადაწყვიტოს რიგი საკითხები.

სოფელ ირემაძეების მკვიდრმა **ედო ჯავახიძემ** საორგანიზაციო კომისიის წევრებს მადლობა გადაუხადა კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვის ხულოდან დაწყების გამო და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურად ჩართვისათვის. გამომსვლელმა დასვა კითხვა ბუნებრივი რესურსების გამგებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, დაინტერესდა მოქმედ კონსტიტუციაში რა სახის პროცედურულმა ხარვეზმა გამოიწვია ამ ცვლილებების ინიცირების აუცილებლობა, რამდენად გაამარტივებს ეს სიახლე პროცედურულ ნორმებს და რა გავლენას იქონიებს ის რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მანვე ყურადღება გაამახვილა საარჩევნო სისტემებზე და აღნიშნა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მომხრეა.

წმინდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი **რამაზ ხმალაძე** დაინტერესდა, თუ რატომ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში რეგიონის უფლებამოსილებები სუსტად წარმოდგენილი, რა იცვლება კომპეტენციების გაძლიერების კუთხით, რამდენად საკმარისია წარმოდგენილი ცვლილებები და რა იგეგმება მომავალში.

სოფელ ვაშლოვანის მკვიდრმა **რამინ აბულაძემ** აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის თითქმის 30% მაჟორიტარული წესით არჩეული წევრია, შესაბამისად, ხულოს და მთლიანად აჭარის მოსახლეობისთვის ეს არის საშუალება ყავდეს 6 მაჟორიტარი დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში. მანვე დასძინა, რომ მაღალმთანი აჭარის მთა-გორიანი რელიეფის გამო, მოსახლეობა არათუ მაჟორიტარული წესით უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის გაუქმებას, არამედ ხულოს, შუახევსა და ქედის მუნიციპალიტეტებში ცალ-ცალკე მაჟორიტარის არჩევას მიზანშეწონილად.

**რომან შანთაძემ** საორგანიზაციო კომისიის წევრებს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ რიგით მოქალაქეებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ

საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვაში. მან აქვე აღნიშნა, რომ მთიანი რეგიონის განვითარებისთვის საკანონმდებლო დონეზე მეტი მხარდაჭერაა საჭირო. გამომსვლელმა, ასევე, ხაზი გაუსვა მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების აუცილებლობას და აქვე დასძინა რომ, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ძალისხმევითა და მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, რომელიც განსაკუთრებით დადებითად აისახა მთიანი რეგიონების მოსახლეობის ცხოვრებაზე. მანვე დადებითად შეაფასა ცვლილება, რომლითაც ადგილზე გადაწყდება თუ რა სამინისტროები ჭირდება ავტონომიურ რესპუბლიკას. ასევე, გამოთქვა მოსაზრება, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღებას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად და თვლის, რომ უმჯობესია, ეს ფუნქცია რომელიმე მინისტრმა შეასრულოს.

**შუახევის მუნიციპალიტეტი,  
შუახევის კულტურის ცენტრი  
23 იანვარი, 2018 წელი**

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, დავით ბაციკაძე, პეტრე ზამბახიძე, თენგიზ თევზაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა დავით გაბაიძის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც დეტალურად ისაუბრა ახლადინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე. ამის შემდეგ, კომისიის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი პოზიციები დაეფიქსირებინათ კონსტიტუციის ახალი რედაქციით გათვალისწინებულ ამა თუ იმ ცვლილებაზე. ბოლოს, კითხვები დასვეს და მოსაზრებები გამოთქვეს მოქალაქეებმა:

პარტია „ევროპული საქართველოს“ და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მირზა თურმანიძის განცხადებით, მაშინ, როდესაც ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს უფრო მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობითი ორგანო ყავს, ვიდრე უმაღლესი საბჭოა, მიზანშეწონილი იქნებოდა უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა. მანვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის „კოსმეტიკური“, ისინი მორგებულია მმართველი ძალის ინტერესებზე და არა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე. მაგ. ტყის, წყლის და მიწის რესურსებით სარგებლობის პრობლემა მოსახლეობას არ ჰქონია და უმჯობესი იქნებოდა ისეთი ცვლილებები შემოეთავაზებინათ კანონპროექტის ინიციატორებს, რომლებიც მოახდენდა დენის, ბუნებრივი აირით სარგებლობის ტარიფების დაწევას და შეაჩერებდა მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციას.

ედნარ ჯუმუშაძემ მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომისიის წევრებს, პირადად, თავმჯდომარეს დავით გაბაიძეს, საკონსტიტუციო ცვლილებებზე ნაყოფიერი

მუშაობისათვის და შინაარსიანი პრეზენტაციისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომუნიკაციის პრობლემა მას მუნიციპალიტეტის ან ავტონომიის ხელმძღვანელობასთან არასოდეს შექმნია. მანვე დასვა კითხვა, თუ რით არის უკეთესი წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით.

**ვასო ხიმშიაშვილმა** საორგანიზაციო კომისიის წევრებს საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო ფორმატში განხილვისათვის მადლობა გადაუხადა. მანვე, ისაუბრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე. მისი განცხადებით, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მიუხედავად, ფედერალური იქნება იგი თუ უნიტარული, კონკრეტულად უნდა განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელი და სამომავლო სტატუსი. ძლიერი ავტონომიის დაკანონება ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიებისთვის კარგი მაგალითი იქნება იმაში დასარწმუნებლად, რომ მათაც რეალური უფლებები არა რუსული ოკუპაციის პირობებში, არამედ, მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ შეიძლება ჰქონდეთ. მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი სამსახურები, როგორიცაა: სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო დახმარება და სხვა, იყვნენ მუნიციპალურ დაქვემდებარებაში, რადგან პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, მოსახლეობა პირველ რიგში მიმართავს არა ცენტრალურ თუ რეგიონალურ ხელისუფლებას, არამედ მერსა და საკრებულოს.

**ფრიდონ დავითაძემ** თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ხელისუფლების მხრიდან წინგადადგმული ნაბიჯია მსგავსი სახის შეხვედრები, რისთვისაც საორგანიზაციო კომისიის წევრებს მადლობა გადაუხადა. მომხსენებელი, ასევე, გამოეხმაურა საარჩევნო სისტემების საკითხს და აღნიშნა რომ, მაღალმთიანი რაიონების რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხულოს, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტიდან თითო მაჟორიტარი დეპუტატი უნდა ირჩეოდეს.

შეიარაღებული ძალების სამხედრო პენსიონერმა შოთა ქამადაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს პარლამენტის მსგავსად, სამომავლოდ, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით უნდა ჩატარდეს.

პედაგოგმა **ლევან კილაძემ** დადებითად შეაფასა საკონსტიტუციო ცვლილებების სააჯარო განხილვა და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას აქტიური მონაწილეობისათვის. გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა მიზეზით იყო აქამდე აჭარის რეგიონი, უფლებამოსილებების კუთხით, ასე სუსტად წარმოდგენილი. მანვე დასვა კითხვა ეძლევა თუ არა უფლება მთავრობის თავმჯდომარეს, ცენტრთან შეთანხმების გარეშე დანიშნოს, მაგალითად, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ხოლო თავის მხრივ, ამ უკანასკნელს - დანიშნოს საჯარო სკოლის დირექტორი.

ქედის მუნიციპალიტეტი,  
ქედის კულტურის ცენტრი  
24 იანვარი, 2018 წელი

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, დავით ბაციკაძე, პეტრე ზამბახიძე, არჩილ ხახუტაიშვილი, გიორგი ბერიძე. საზოგადოებისთვის საკონსტიტუციო ცვლილებების გაცნობის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

**ამირან დიასამიძემ აღნიშნა, რომ გართულებული ბიუროკრატიული ბარიერების გამო, შესაბამისი სეზონის დადგომამდე, მოსახლეობა ვერ ასწრებს ხის მერქნის მოპოვების ნებართვის მიღებას. გამომდინარე აქედან, მან პოზიტიურ ცვლილებად შეაფასა მიწის, ტყისა და წყლის რესურსების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემა და ამ რესურსების მართვისა და განკარგვის გამარტივება.**

პარტია „ევროპული საქართველოს“ და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა **თემურ ავალიანმა** თავის გამოსვლაში, უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს და აჭარის კონსტიტუციებში ტერმინი „კერძო საკუთრება“ არ ფიგურირებს. მისი მოსაზრებით, მოქალაქეს კონსტიტუციით უნდა ჰქონდეს გარანტირებული კერძო საკუთრების უფლება.

**თემურ ავალიანმა აღნიშნა, რომ არც მოქმედ კონსტიტუციაში და არც პროექტში არ არის საკმარისად დაკონკრეტებული და დაცული მოქალაქეთა კერძო საკუთრების უფლება. მისი განცხადებით, სწორედ ამის გამოა მოუგვარებელი მოსახლეობისთვის მიწის საკუთრებაში დაკანონების საკითხი. მანვე მხარი დაუჭირა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას და აღნიშნა, რომ ეს მოდელი ხელს შეუწყობს მრავალპარტიულობას საკანონმდებლო ორგანოში და გამორიცხავს სახელისუფლებო პარტიის აბსოლუტური უმრავლესობით მოსვლის შესაძლებლობას.**

**ზაზა დავითაძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს საკონსტიტუციო ცვლილებების საინტერესო განხილვისათვის. მან დასვა კითხვა, თუ რატომ იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებები შესუსტებული, რამაც მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის აუცილებლობა გამოიწვია.**

**ანზორ ბასილაძემ დასვა კითხვა წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელი იქნება თუ არა, საკანონმდებლო ორგანოში სამივე მუნიციპალიტეტიდან არჩეული იქნას თითო მაჟორიტარი.**

მახუნცეთის თემის მკვიდრმა **ლევან ვერძაძემ** დასვა შეკითხვა, თუ რამდენად ეფექტური იქნება ახალი კონსტიტუცია და რა უპირატესობები მიენიჭება ავტონომიას წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებით.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი,  
ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი  
25 იანვარი, 2018 წელი**

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **მერაბ კარანაძე** უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, დავით ბაციკაძე, პეტრე ზამბახიძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა მერაბ კარანაძემ საკონსტიტუციო ცვლილებების დეტალური წარმოდგენით გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ ვლადიმერ მგალობლიშვილი, პეტრე ზამბახიძე, ილია ვერძაძე და ნინო ჩხეტია. აღნიშნულის შემდეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა:

**დავით დიდმანიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ სხვა ქვეყნების კონსტიტუციების მსგავსად, აჭარის კონსტიტუციაშიც, ქალაქი ბათუმი უნდა განისაზღვროს დედაქალაქად და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრად. ასევე, გამომსვლელმა დასვა კითხვა, თუ რატომ ხდება პროკურორების და მოსამართლეების დანიშვნა ცენტრის მიერ და არა ადგილობრივი უწყებების გადაწყვეტილებით.

სოფელ კაპრეშუმის მკვიდრმა **ლევან ფალავამ** მოსაზრება გამოთქვა აჭარის რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობის აუცილებლობის თაობაზე. მანვე, აღნიშნა, რომ არჩევნების მაჟორიტარული სისტემა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

**როსტომ თავდებირიძემ** გამოხატა ინტერესი ორ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ: უნდა იყოს თუ არა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე საქართველოს მთავრობის წევრი და ასახული უნდა იყოს თუ არა აჭარის კონსტიტუციაში ავტონომიის შექმნის საფუძვლები.

**ავთანდილ ზოიძე** დაინტერესდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, 14 ხმის ნაცვლად, 11 ხმით არჩევის შემთხვევაში, ხომ არ შეიქმნება პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხე. მანვე ხაზი გაუსვა, მაჟორიტარული სისტემით დეპუტატების არჩევის დადებით და უარყოფით მხარეებზე და გამოთქვა მოსაზრება, ყველა მუნიციპალიტეტიდან თითო მაჟორიტარის არჩევის აუცილებლობაზე.

**მურად მალაყმაძემ** მოითხოვა, კონსტიტუციაში მკაფიოდ განისაზღვროს უცხოელებზე მიწების გასხვისების რეგულაციების გამკაცრებასთან და ოჯახის დეფინიციასთან დაკავშირებული საკითხები.

**სულხან მსხალაძემ** მოითხოვა, აჭარის კონსტიტუციაში ჩაიდოს მაღალმთიან სოფლებში უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის გარანტიები და ამ რეგიონებისთვის, ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ფინანსური რესურსები უფასო სასწავლებლების შესაქმნელად და მაღალკვალიფიციური პედაგოგების დასაფინანსებლად.

პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრმა **მურად გორგაძემ** გამოთქვა მოსაზრება, არჩევნების პროპორციულ სისტემით ჩატარების აუცილებლობაზე. მანვე აღნიშნა, რომ უპრიანი იქნება, აჭარის კონსტიტუციაში რაიმე სახის ჩანაწერის გაკეთება, რაც მოსახლეობას მიწების დაკანონების საშუალებას მისცემს.

**სულიკო მიქელაძემ** რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ: საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვის გარდა, სატელევიზიო დებატების ფორმატით განხილვის მიზანშეწონილობაზე; არჩევნების, მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარებაზე; აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების უფლებამოსილებების გამიჯნვასა და საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობაზე.

**ნოდარ ცინცაძემ** თავის გამოსვლაში აქცენტი გააკეთა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის აუცილებლობაზე და ამომჩევლისათვის მაჟორიტარი წევრის საკანონმდებლო ორგანოდან გამოთხოვის უფლების მინიჭებაზე. მანვე აღნიშნა, რომ სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ნაადრევია. მომხსენებელმა სახელმწიფოს მხრიდან ექსპროპრიაციის უფლების გამოყენების პრაქტიკაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ გზით ილახება რიგითი მოქალაქეების უფლებები.

სოფელ ერგეს მკვიდრმა **იაშა თელორაძემ** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვას ისტორიული დღე უწოდა. მანვე მოითხოვა, კონსტიტუციაში ჩაიწეროს ვეტერანების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საკითხები.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი,  
ქობულეთის კულტურის ცენტრი  
26 იანვარი, 2018 წელი**

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, დავით ბაციკაძე, პეტრე ზამბახიძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა კომისიის წევრების გამოსვლებით დაიწყო, რომლებმაც საკონსტიტუციო ცვლილებები და ამ ცვლილებების შესახებ საკუთარი პოზიციები გააცნეს საზოგადოებას. აღნიშნულის შემდეგ, მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა დაესვათ კითხვები კომისიის წევრებისათვის და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ.

ქობულეთის საკრებულოს წევრმა **ვაჟა შავიშვილმა** აღნიშნა, რომ არ ეთანხმება პეტრე ზამბახიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მთავრობის თავმჯდომარისა და უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების დაკნინების შესახებ. მანვე დადებითად შეაფასა, აჭარის კონსტიტუციის პროექტში შერეული საარჩევნო სისტემის ჩანაწერის

დატოვება და დასვა საკითხი, მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების თანაფარდობა 9 მაჟორიტარი და 12 პროპორციული წესით არჩეული წევრით შეიცვალოს. მანვე, უმაღლესი საბჭოს წევრის ასაკობრივი ცენზის 21 წლამდე დაწევა ითხოვა. გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის პროექტის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს ადგენს უმაღლესი საარჩევნო კომისია. აღნიშნულზე, ვაკა შავიშვილმა დასვა კითხვა, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით, შემაჯამებელი ოქმი, ნაცვლად უმაღლესი საარჩევნო კომისიისა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეედგინა. მანვე მოითხოვა, პროექტის 21-ე, 23-ე და 24-ე მუხლების დაზუსტება, რომლებიც უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტასა და მთავრობის დამტკიცებას ეხება. მომხსენებელმა, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, საბიუჯეტო კანონთან შესაბამისობაში მოყვანისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების მუხლში, სიტყვა „რესპუბლიკურის“ ჩამატების წინდადადება შემოიტანა.

მე-10 კლასის მოსწავლე, ახალგაზრდული პარლამენტის განათლების კომიტეტის წევრი ანტა ლომაძე დაინტერესდა რა სასარგებლო ცვლილებები განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ახალგაზრდებისთვის, კერძოდ კი, მოსწავლეებისთვის.

მოსწავლე, ქობულეთის ახალგაზრდული სათათბირო დარბაზის თავმჯდომარე საბა გოგიტიძე დაინტერესდა, აჭარის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით, რა პერსპექტივები იგეგმება ახალგაზრდებისთვის.

ედიტა გოგიტიძემ დასვა კითხვა, აღნიშნული ცვლილებით, რა უპირატესობა ექნება ავტონომიას ცენტრთან მიმართებაში.

გიორგი კუკულაძემ ისაუბრა, ქობულეთის რაიონში მიწის რეფორმის ჩატარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ მოსახლეობაში ეს სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. აგრეთვე, გამომსვლელი დაინტერესდა, რამდენად არის შესაძლებელი მიწის ფონდი, რომელიც სტრატეგიული დანიშნულებისაა და სახელმწიფოს საკუთრებაშია, განკარგვისათვის გადმოეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

ქობულეთის სახალხო ანსაბლის ხელმძღვანელი თემურ თხილაიშვილი დაინტერესდა აჭარაში მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებული საკითხებით. მანვე, დასვა კითხვა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

ანზორ სოლომონიძემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში და გამოთქვა მოსაზრება - მთავრობის თავმჯდომარე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით წელიწადში 2-ჯერ მაინც წარსდგეს უმაღლესი საბჭოს წინაშე. ანზორ სოლომონიძემ, ასევე, მადლობა გადაუხადა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს ბათუმში, 2017 წლის 11-12 მარტის მოვლენების დროს შექმნილი პრობლემების მოგვარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის.

**მირიან ცეცხლაძე** დაინტერესდა, მაშინ როდესაც, საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მესამე პუნქტით, საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდება „საქართველო“ და არის უნიტარული მოწყობის სახელმწიფო, როგორ შეიძლება აჭარა იყოს ავტონომიური რესპუბლიკა. მანვე მოითხოვა, უმაღლესი საბჭოს წევრის ასაკობრივი ცენზის ამაღლება.

ვიტალი ქარცივაძემ მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომისიის წევრებს საკონსტიტუციო ცვლილებაზე ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამასთან, გამომსვლელი დაინტერესდა, წყლის რესურსის მართვასა და განკარგვის საკითხებით. აქვე, გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირდაპირი წესით არჩევის შემოღება.

ბათუმი,  
„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“  
27 იანვარი, 2018 წელი

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, დავით ბაციკაძე, პეტრე ზამბახიძე, თენგიზ თევზაძე, არჩილ ხახუტაიშვილი, ასლან ჭანიძე, გიორგი ბერიძე. საკონსტიტუციო ცვლილებების გაცნობისა და მის შესახებ კომისიის წევრების პოზიციების წარმოდგენის შედეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა.

არასამთავრობო ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ თავმჯდომარემ **თამაზ მუკანაძემ** დასვა კითხვა, რამდენად არის შესაძლებელი, საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, აჭარის კონსტიტუციაშიც აისახოს შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხი. აქვე, გამომსვლელმა გამოთქვა მოსაზრება, უმაღლესი საბჭოს წევრებისა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატების ასაკობრივი ბარიერის გათანაბრების მიზანშეწონილობის შესახებ.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აჭარის ფილიალის ხელმძღვანელის გიორგი ხიმშიაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებები არსებითად ვერ გარდაქმნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს. მომხსენებელი დაინტერესდა წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები გამოიწვევს თუ არა არსებული სახელმწიფო უწყებების რეორგანიზაციას; ასევე, რა ფორმით გააგრძელებს მუშაობას უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია, მაშინ როდესაც, განსაზღვრული არ არის უმაღლესი საბჭოს წევრის პენიტენციალურ დაწესებულებებში შესვლის უფლების მინიჭების საკითხი. გიორგი ხიმშიაშვილმა ნეგატიურად შეაფასა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დასამტკიცებლად წარმოდგენის პროცედურა და გამოთქვა ეჭვი, რომ

იგი ცენტრალურ ხელისუფლებას რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის შესაძლებლობას მისცემს. გამომსვლელმა მოითხოვა ვეტოს დაძლევისა და აჭარის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება. მანვე დასვა კითხვა, კონსტიტუციაში თუ რატომ არ არის საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზიასა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის თაობაზე ჩანაწერები. დასასრულს, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საარჩევნო სისტემის ცვლილების და პროპორციული წესით არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე.

„თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე ასლან ჭანიძე დაინტერესდა, თუ რატომ იქნა ამოღებული უმაღლესი საარჩევნო კომისიის შექმნის უფლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციებიდან.

**თამაზ ფუტკარაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელების დანიშვნა უნდა მოხდეს რეგიონთან შეთანხმების შემდეგ.

**ნოდარ ცინცაძის** მოსაზრებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს მთავრობის წევრი.

ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ რეგიონალური კოორდინატორის **მადონა ბერიძის** განცხადებით, არჩევნების სისტემის მიხედვით განისაზღვრება ქვეყანაში დემოკრატიის ინდიკატორი. მისივე თქმით, სამართლებრივად არ არის აუცილებელი ქვეყანაში არსებული საარჩევნო სისტემა რეგიონში არსებული საარჩევნო სისტემის იდენტური იყოს, თუმცა, შერეული საარჩევნო სისტემა მორგებულია მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებზე, რაც მანდატების არასამართლიანი გადანაწილების შესაძლებლობას იძლევა. მომხსენებლის თქმით, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა შერეული საარჩევნო სისტემის პროპორციული სიტემით შეცვლა, თუნდაც რეგიონის დონეზე. **მადონა ბერიძემ**, ასევე, ყურადღება გაამახვილა უსკოს საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მისი ორგანიზაცია პრობლემურ თემებთან დაკავშირებით სარეკომენდაციო პაკეტს შეიმუშავებს.

**ირაკლი ანთიძემ** უკმაყოფილება გამოთქვა, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამეურვეო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

„აჭარის მცირე და საშუალო ბიზნესმენთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ **ასლან ლორთქიფანიძემ** მადლობა გადაუხადა დავით გაბაიძეს საქართველოს კონსტიტუციის პროექტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის ყველა სტადიაზე აქტიურად ჩართვისთვის, რა დროსაც მას სრულად მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა შენიშვნები როგორც ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობაზე, ასევე, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე.

**თორნიკე დევაძემ** განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას დებატების ფორმა არ უნდა ჰქონდეს, ასევე, იგი დაინტერესდა რამდენად იქნება

მოსახლეობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები უმრავლესობისთვის მისაღები და შესაბამისად, პროექტში ასახული.

საჯარო მოხელის ირინა დევაძის მოსაზრებით, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი - საშემოსავლო გადასახადი, კონსტიტუციის დონეზეც უნდა განისაზღვროს. მანვე, გამოხატა უკმაყოფილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებიდან ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ამოღებასთან დაკავშირებით.

ირინა ურუშაძის განცხადებით, ტექნიკური თვალსაზრისით, მართებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობის ჩამონათვალიდან ტურიზმის ამოღება. თუმცა, მისთვის გაუგებარია, რამდენადაა უფლებამოსილი აჭარა შექმნას სამინისტრო ტურიზმის სფეროში. მისივე თქმით, ასევე, პრობლემას არ წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ ჩანაწერის განსაკუთრებული გამგებლობის ჩამონათვალიდან ამოღება, იმიტომ, რომ ჩანაწერი - „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია“ - პრაქტიკულად, იგივეს ნიშნავს.

ზათუმი,  
„პროფესიული აჭარის ორგანიზაცია“  
27 იანვარი, 2018 წელი

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით გაბაიძე, ილია ვერძაძე, ნინო ჩხეტია, პეტრე ზამბახიძე, თენგიზ თევზაძე, გიორგი ბერიძე. თავდაპირველად, „პროფესიული კავშირების აჭარის ორგანიზაციის“ წარმომადგენლებს ილია ვერძაძე კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე და ინიცირებულ ცვლილებებზე ესაუბრა. დამსწრეთ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, პეტრე ზამბახიძემ და თენგიზ თევზაძემაც მიმართეს. აღნიშნულის შემდეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა.

**ზაურ შოთაძე** დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ძალოვან სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს ან სხვა რაიმე უწყების შექმნა.

იაშა გურგენიძის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ მშენებლობა აჭარის ეკონომიკაში ერთ-ერთი მზარდი დარგია, მიზანშეწონილია, შესაბამისი სამინისტროს ან დეპარტამენტის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების ზომების გამკაცრების საკითხებზე. მისივე თქმით, ამ სფეროში არსებულ ღრმა პრობლემებზე, უკანასკნელ წლებში, მშენებარე ობიექტებზე 450-ზე მეტი

ადამიანის დაღუპვა და სასტუმრო „ლეოგრანდში“ დატრიალებული ტრაგედია მეტყველებს.

**ქეთევან დიასამიძემ** დასვა კითხვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ როგორც ისტორიკოსი, პარალელებს ავლებს 2004 წელს განვითარებულ მოვლენებთან და აინტერესებს, არის თუ არა აჭარის კონსტიტუციაში ჩადებული ისეთი ბერკეტები, რომლებიც სეპარატიზმის გაღვივების რისკს გამორიცხავს.

**სიმონ დოლიძემ** გაიხსენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში გაჩეხილი ტყეები და აღნიშნა, რომ ამ ფონზე, ხეების გადარგვის თემით მანიპულირება მიუღებელია.

**ბათუმი,  
„ადვოკატთა ასოციაცია“  
28 იანვარი, 2018 წელი**

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, პეტრე ზამბახიძე, თენგიზ თევზაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა კომისიის წევრების დავით გაბაიძისა და პეტრე ზამბახიძის გამოსვლებით დაიწყო. აღნიშნულის შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

**დავით ჯაფარიძემ** უარყოფითად შეაფასა ის ფაქტი, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არ გააჩნია უფლება შეწყალების ან ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის კომისიას. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ან სხვა წევრს, პქნოდეს უფლება საშვის გარეშე შევიდეს პენიტენციალურ დაწესებულებებში არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მანვე მადლობა გადაუხადა დავით გაბაიძეს ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის ორგანიზებისათვის და აღნიშნა, რომ ამ დრომდე, უმაღლესი საბჭოს არც ერთ თავმჯდომარეს მსგავსი სურვილი არ გასჩენია. მომხსენებელმა საკუთარი მოსაზრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზეც გამოთქვა, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ აჭარის მოსახლეობას, როგორც ეროვნებით ძირმველ ქართველებს არანაირი ავტონომია არ ჭირდება. ასეთი სტატუსი საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონებისთვის შეიძლება იყოს მისაღები. შესაბამისად, მისი თქმით, უნდა მოხდეს აჭარისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმება და ყარსის ხელშეკრულების დენონსაცია. დასასრულს, დავით ჯაფარიძე არჩევნების ჩატარების საკითხსაც შეეხო და პროპორციულ საარჩევნო სისტემას დაუჭირა მხარი. დასასრულს, დავით ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს დავით გაბაიძეს და უმაღლესი

საბჭოს წევრებს: ილია ვერძაძეს და ვლადიმერ მგალობლიშვილს, გასული წლის 11-12 მარტის მოვლენების დროს შექმნილი პროლემების მოგვარებისა და მასჯავრდებულებისათვის სასჯელის შემსუბუქებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის.

**კახა როდინაძის** განცხადებით, აჭარის ავტონომიური მმართველობა განსაზღვრულია 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლით და არა ყარსის ხელშეკრულებით, შესაბამისად, ავტონომის გაუქმება დაუშვებელია.

**თენგიზ კახიძემ** განაცხადა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელების 70% აჭარიდან შედის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს აჭარიდან ქუთაისში გადატანა დიდ პრობლემას და დისკომფორტს უქმნის როგორც აჭარის მოსახლეობას, ასევე ადვოკატთა კორპუსს. მანვე, ისაუბრა უმაღლესი საარჩევნო კომისიის გაუქმების მიზანშეწონილობაზე და განაცხადა, რომ გარდა უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემაჯამებელ ოქმზე ხელის მოწერისა, სხვა ფუნქცია ამ კომისიას არ გააჩნია.

**მალხაზ ზოიძე** დაინტერესდა, 2017 წლის 11-12 მარტს ბათუმში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, მსგავსი ინციდენტების პრევენციისათვის უმაღლესი საბჭოს მხრიდან რა ქმედითი ღონისძიებები გატარდა.

**უფლებადამცველმა მერაბ ბლადაძემ** აღნიშნა, რომ არათუ ავტონომის გაუქმება, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების მაქსიმალურად გაზრდა უნდა მოხდეს. მისი თქმით, ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირდაპირი წესით არჩევა იქნებოდა.

**მერაბ დემეტრაძემ** ყურადღება გაამახვილა, ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის საკითხზე და დასვა კითხვა, იქნება თუ არა შესაძლებელი, ადგილზე მოხდეს მსგავსი საკითხების დარეგულირება.

**დავით რუხაძე** დაინტერესდა, წარმოდგენილ პროექტში საბავშვო სპორტის ხელშეწყობასთან დაკავშირებით რაიმე გარანტიები არის თუ არა გათვალისწინებული.

**ბათუმი,**  
**ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**29 იანვარი, 2018 წელი**

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ილია ვერძაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, ნინო ჩხეტია, პეტრე ზამბახიძე, თენგიზ თევზაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა დავით გაბაიძის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც ყველა იმ სიახლეზე ისაუბრა, რასაც კონსტიტუციის ახალი რედაქცია ითვალისწინებს.

ახლადინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ საზოგადოებას პეტრე ზამბახიძემ, მერაბ კარანაძემ, ვლადიმერ მგალობლიშვილმა, ილია ვერძაძემ და თენგიზ თევზაძემაც მიმართეს. აღნიშნულის შემდეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა:

**როსტომ გუნთაიშვილის** თქმით, მიუღებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების გარეშე. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა მიიღოს საქართველოს მოქმედმა პარლამენტმა, ხოლო დაამტკიცოს შემდეგი მოწვევის პარლამენტმა. ასევე, გამომსვლელმა დასვა კითხვა, თუ რატომ არ ხდება აჭარაში ღირსშესანიშნავი თარიღებისა და ღვაწლმოსილი ადამიანების იუბილეების აღნიშვნა. როსტომ გუნთაიშვილის განცხადებით, იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთად ჩატარებას.

**რამაზ სურმანიძემ** მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომისიის წევრებს საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსობრივად წარმოდგენისათვის და შეხვედრაზე მოწვევისათვის. მან აღნიშნა, რომ ვარგი ინიციატივაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენისა და მინიჭების შემოღება. მანვე, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების აუცილებლობაზე ისაუბრა. რამაზ სურმანიძემ, რეგიონის მზარდი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, ტურიზმის სამინისტროს შექმნის იდეა გააჯღერა. აქვე დასძინა, რომ კონსტიტუციის პროექტი საჭიროებს რედაქციული ხასიათის შესწორებებს, რასაც წერილობითი სახით წარმოუდგენს უმაღლეს საბჭოს.

**უურნალისტმა თამარ თაბუკაშვილმა** დასვა კითხვა, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის, კომუნალური ვაუჩერების გამოყოფასთან დაკავშირებით. ის, ასევე დაინტერესდა, თუ რომელი საარჩევნო სისტემის მომხრეა უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა და ამასთან დაკავშირებით, ხომ არ არის რაიმე დირექტივა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.

**ნუგზარ ფუტკარაძის** მოსაზრებით, წარმოდგენილ პროექტში, ერთმანეთშია არეული სხვადასხვა კონსტიტუციური ცნებები - გამგებლობა, უფლებამოსილება და კომპეტენცია. მანვე აღნიშნა, რომ ბუნდოვანია, თუ რის საფუძველზე მოხდა მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის, როგორც კოლეგიალური ორგანოს, უფლებამოსილებების ერთმანეთისგან გამიჯნვა. ისეთი მნიშნელოვანი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ქონების განკარგვა მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებაა, ხოლო მეორეხარისხოვანი საკითხები - მთავრობის ანუ კოლეგიური ორგანოს. ნუგზარ ფუტკარაძე პასიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქისთვის ცენზის დაწესებას შეეხო, კერძოდ მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს მომავალი წევრი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა იყოს აჭარაში ნაცხოვრები, მითუმეტეს, როდესაც აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირისადმი, საქართველოს კონსტიტუციით მსგავსი მოთხოვნა უკვე განსაზღვრულია.

**თენგიზ თავდგირიძემ** გამოთქვა მოსაზრება კონსტიტუციის დონეზე განისაზღვროს რამდენიმე საკითხი: კერძოდ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეცეს უფლება დამოუკიდებლად დანიშნოს საჯარო სკოლების დირექტორები, ასევე, სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებზე გასცეს ლიცენზიები და აკონტროლოს მათი საქმიანობა, სკოლის მოსწავლეებისთვის დააწესოს ფორმა და აეკრძალოთ მათ სკოლაში მობილური ტელეფონების ტარება; ასევე, მოახდინოს ბიბლიოთეკების, ამბულატორიებისა და სპორტული დარბაზების მოწყობა. მომხსენებელმა მიზანშეწონილად დაასახელა მთავრობის თავმჯდომარის პირდაპირი წესით არჩევა, მისთვის მოადგილის დანიშვნა, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატისთვის ასაკობრივი ცენზის გაზრდა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებისათვის საქართველოში ცხოვრების სავალდებულო ვადის მომატება.

**მურმან გორგოშაძემ** დასვა კითხვა, თუ რატომ არის დოკუმენტი აჭარის 2008 წელს მიღებულ კონსტიტუციაში ცვლილებების სახით წარმოდგენილი და არა ახალ კონსტიტუციად ინიცირებული. მანვე, იურიდიული ტექნიკის კუთხით, დადებითად შეაფასა კონსტიტუციის პროექტში მუხლების დასათაურება და სურვილი გამოთქვა, დოკუმენტის სარჩევის გაკეთების თაობაზე.

**ალექსანდრე ჩიტიშვილმა** მოითხოვა დამატებითი განმარტებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ტყის რესურსის მართვასა და განკარგვის ჩანაწერთან დაკავშირებით. ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნია, უმაღლესი საბჭოსათვის საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების ინიცირების უფლების მინიჭება. გამომსვლელის მოსაზრებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობაში უნდა დარჩეს: სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, სურსათის უვნებლობისა და ჯამრთელობის დაცვის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები. ალექსანდრე ჩიტიშვილმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაზე და განმარტა, რომ მეტი ლეგიტიმაციისათვის, უმჯობესია, მთავრობის თავჯდომარის კანდიდატურის შერჩევა უმაღლესი საბჭოს წევრებიდან მოხდეს. მისივე თქმით, აუცილებელია იმ ნორმის დატოვება, რომლის მიხედვით, მთავრობის შემადგენლობის ნახევარზე მეტის განახლების შემთხვევაში, უმაღლესი საბჭო ამტკიცებს მთავრობის ახალ შემადგენლობას.

**ომარ მახარაძის** მოსაზრებით, კარგი იქნება, თუ მთავრობას მიეცემა უფლება, უმაღლესი საბჭოს წინაშე საკუთარი ინიციატივით დასვას მისივე უნდობლობის საკითხი.

პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრმა **ავთანდილ ბეჟანიძემ** საოსფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის მოსახლეობისთვის დაკანონებასა და წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებზე დასვა კითხვები.

პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრმა **რაულ თავართვილაძემ** უარყოფითად შეაფასა წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები და აღნიშნა, რომ უკან გადადგმული ნაბიჯია ავტონომიის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებებიდან ტურიზმის, კულტურის, კონომიკის, სოფლის მეურნეობის,

ჯანდაცვის, სურსათის უვნებლობის და სხვა საკითხების ამოღება. მანვე მიზანშეუწონლად მიიჩნია, აჭარის კონსტიტუციაში მთავრობის ფორმირებასთან, საარჩევნო სისტემასა და უმაღლესი საარჩევნო კომისიასთან დაკავშირებული ცვლილებები.

**ოთარ ცეცხლამებმ** მოითხოვა უმაღლესი საბჭოს წევრის ასაკობრივი ცენზის 25 წლიდან 21 წლამდე დაწევა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, 2024 წლიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარდეს.

**ბათუმი,**  
**სასტუმრო „პილტონი“**  
30 იანვარი, 2018 წელი

საჯარო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან სხდომას ესწრებოდნენ მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, ქალაქ ბათუმის მერი ლაშა კომახიძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები: რამაზ ბოლქვაძე, ზაალ მიქელაძე, ინგა შამილიშვილი, ავთანდილ მესხიძე; უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია; საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები: არჩილ ჩიქოვანი, მაია ივანიშვილი, სულხან ღლონტი, ჯემალ ნაკაშიძე და სხვა. განხილვას საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრები ესწრებოდნენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა **რამაზ ბოლქვაძემ** წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის საკითხის კონსტიტუციის დონეზე დარეგულირება. მისივე მოსაზრებით, უმჯობესია, სახელმწიფოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკისთვის უფლებამოსილების დელეგირება, შესაბამის ფინანსურ რესურსთან ერთად, მუნიციპალიტეტის დონეზეც მოხდეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტამენტის თავმჯდომარემ **სულხან ღლონტმა** იმედი გამოთქვა, რომ „ტურიზმის ორგანიზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში მოხდება ძირეული ცვლილებები, რაც საშუალებას მისცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს რეგულარულად და ეფექტურად შეამოწმოს ტურისტული ობიექტები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი დაინტერესდა, საკონსტიტუციო

ცვლილებების მიღების შემდეგ, რა სახის სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება საარქივო სამმართველოში.

აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსმა არჩილ ჩიქოვანმა დადებითად შეაფასა „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების“ და „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების“ ერთმანეთისგან გამიჯნვა. მისი თქმით, ეს ხელს შეუწყობს როგორც ავტონომიის, ისე მუნიციპალიტეტის დონეზე საავტომობილო გზების საკითხის დარეგულირებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კონსტიტუციის პროექტში საარჩევნო პროცესი უფრო მკაცრად რეგლამენტირებული უნდა იყოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ საინტერესო დისკუსიითვის მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომისიის წევრებსა და აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებს. მან დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები. განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა იმ ნორმებს, რომლებიც ზრდის მთავრობის ანგარიშვალდებულებას საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. მისი განცხადებით, ნებისმიერ დროს მზადაა წარსდგეს ანგარიშით უმაღლესი საბჭოს წინაშე და თვლის, რომ ეს ხალხის წინაშე ანგარიშის ჩაბარებასაც ნიშნავს. მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თვალსაჩინოა არამარტო საკანონმდებლო ორგანოს, არამედ მთავრობის უფლებამოსილებების გაზრდაც, რაც სამინისტროებთან დაკავშირებულ ცვლილებებშიც გამოიხატა. აქვე დააზუსტა, რომ აჭარის მთავრობა არ აპირებს ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდას და რეფორმა არსებული სამსახურების ოპტიმიზაციის ხარჯზე განხორციელდება. მანვე ყურადღება გაამახვილა მთავრობის დამტკიცების წესზე და აღნიშნა, რომ ამ ცვლილებებით, მთავრობის თავმჯდომარის დამოუკიდებლობის ხარისხი, მთავრობის დაკომპლექტების კუთხით, აშკარად იზრდება.

ზურაბ პატარაძის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს, მთავრობისა და თვითმმართველობის გაძლიერება მათი ეფექტური საქმიანობის გარანტი იქნება. კონსტიტუციის სწორი მოდელის მიღების შედეგად ფუნქციები უკეთ გადანაწილდება, გაჩნდება ბერკეტები პროცედურების სწრაფი გადაწყვეტისთვის, შემცირდება ბიუროკრატიული ბარიერები და ყოველივე ეს, აუცილებლად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა შეხვედრებზე დასმულ ყველა შეკითხვას უპასუხეს, ასევე, დამატებითი განმარტებები გააკეთეს კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე. კომისიის თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ყველა მოსაზრება, რომელიც გამოითქვა შეხვედრების დროს, განხილული იქნება უმაღლესი საბჭოს საკომისიო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105<sup>1</sup>-მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის (№09-01-08/56, 08.01.2018წ.) საჯარო განხილვა დასრულდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რელამენტის 105<sup>1</sup>-მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, კანონპროექტი მზადაა წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, შემდგომი განხილვებისთვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,

საკონსტიტუციო ცვლილებების  
საჯარო განხილვის საორგანიზაციო  
კომისიის თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

საორგანიზაციო კომისიის მდივანი

გიორგი ბერიძე